

„მე უნე მიყვარდი, უნე მნაყდი, უნე გემსახურებოდი, როგორც უმეკლო“...

ნიკოლაძის გზით




ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 6 (272) 14 ივნისი, ხუთშაბათი. 2018 წელი; ფასი 1 ლ.

საქართველოს კირველი რესპუბლიკის 100 წლისთავის ზეიმი ფოთში



პარადოქსების ქვეყანა-მთავრობის გადადგომას იტხოვენ და სასტიკ დანაშაულს იბიებენ მკვლელებს ერთი გვარი არა აქვს გაკვეთილები ხელისუფლებისათვის, ანუ გზა მთავრობის გადადგომამდე

მე-2-გვ



26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და კირველი რესპუბლიკის

გამოცხადების 100 წლისთავი ფოთში მე-3 გვ.

ქალაქის მერი, ბატონი გოჩა კურდელია ქურნაღისებრს უხვდა პრობლემები და პერსპექტივა

მე-4-გვ



ორი ქვეყნის რესპუბლიკად გამოცხადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ფოთის მსტონეთის საკორტო ქალაქ

მასარდუს დელეგაცია სტუმრობს

ფოთში სტუმრად იმყოფება ესტონეთის საპორტო ქალაქ მარდუს დელეგაცია. სტუმრებს შეხვდნენ ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდელია, მერის მოადგილეები მამუკა პაპასკირი და ვიორგი ფარეშიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.



შეხვედრაზე ისაუბრეს ქალაქების ფოთისა და მარდუს ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებზე. გაცვალეს სამახსოვრო საჩუქრები.

შეხვედრის შემდეგ, ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდელიამ და მარდუს მერმა ვლადიმერ არხიპოვმა ნიკო ნიკოლაძის ძეგლი ვიზიტისთვის შეამკეს.

მარდუს დელეგაციის ვიზიტი, საქართველო-ესტონეთის რესპუბლიკას შორის, კულტურულ-სამოქალაქო პროექტის „ვევლას უყვარს საქართველო“ ფარგლებში მიმდინარეობს, რომელიც საქართველოსა და ესტონეთის დემოკრატიულ რესპუბლიკებად გამოცხადების 100 წლისთავს უკავშირდება.

ვიზიტის ფარგლებში მოხდება მარდუსა და ფოთის დამეგობრება.



ფოთელი მოსწავლე-ახალგაზრდების დიდი ნარეაზება

მე-6-გვ



„ფაზისის“ აკადემიის წლის ბოლო სწავლაზე მაისის დღეები და აკადემია კოეზიის ტალღაზე

მე-5-6-გვ

ქიდავ ერთი უანსი ქალაქის გადარჩენის - ახალი პორტის შენახლობა ფყლის იმპორტი უფრო მომგებიანია ვიდრე ნავთობისა და გაზის



მე-7-გვ



ანსამბლ „დიდბორის“ კონცერტი-„ბაღია ჩვენი ქვეყანა“ ფოთში

მე-6-გვ



„სარტყელი გზის ინიციატივა“ ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები

თამაზ გობოლი სამართავროსო ურთიერთობების სპეციალისტი მე-2-გვ

26 მაისის გამოქაზილი წელი გეგეშიის ფონდი საუკეთესო კურსდამთავრებულებს აჯილდოებს მე-3-გვ



ვიზიარებთ მზია ბახტაძისა და მარტენ ფანულისა მწუხარებას დედისა და სიდდერის, ღვაწლმოსილი კედაგოვის

ლენა ჯოგაძე-ბახტაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ნიკოლაძის გზით“ რედაქცია



ფეხბურთში მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატი 14 ივნისს გაიხსნა მე-8-გვ

პარალელური ქვეყანა-მთავრობის გადაღობას ითხოვენ და სასტიკ დანაშაულს იძიებენ ევროპული „ნაცები!...“ დათო სარალიძის მკვლელობის მართი ბგარი არა აქვს გაკვეთილები ხელისუფლებისათვის, ანუ გზა მთავრობის გადაღობამდე



zaza saraliZis mxardamWeri acqia

კარგა ხანია ქვეყანამ, ხალხმა დაკარგა ღირსება. ადამიანები დემოკრატიის სახელით მიაჩნევენ პოლიტიკურ მონობას, დააკარგვიანეს პიროვნული თავისუფლება; მორალური და სოციალური ტერორი, როგორც რესტავრირებული ფაშისმი 10 წელი ტანჯავდა ქვეყანას. ერთი პარტიის დიქტატი შეეზარდა სახელმწიფო მმართველობას ყველა პარამეტრით. ისეთი მორალურ-ხეობრივი ატმოსფერო შეიქმნა, სადაც კაცი კაცს არ ინდობს და შური, მტრობა და დაღალტე გამართლებული იყო.

პოლიტიკური ყაჩაღობა - კაპიკებში დათრეული ქვეყნის ქონება, გროშებად გაყიდული საწარმოები-ერთეულების სიმდიდრის წყარო და ათასობით უმუშევარი ადამიანები. ოჯახის გადასარჩენად საზღვარგარეთ გადახვეწილი ქალები, ბავშვები, რომელთაც დედები სკაიპით ასსოვთ, ქუჩის ამარა დარჩენენ. ტელევიზიები უხეობის რუპორებად იქცნენ დემოკრატიის და ევროპული თავისუფლების მოშველიებით. ზღვარს გადასული თავისუფლება უბედურების სათავეა, მათ შორის ძალადობის, ჩაგვრის, საღიზმის და ა. შ. და ასე მივედით იქამდე რომ სკოლებში გაჩნდა ჩაგვრის ახალი მიმდინარეობა ე. წ. ბულინგი, რასაც ეწირება მომავალი თაობის მორალურ-ხეობრივი სახე და ხშირად სიცოცხლეც კი. ამას ემატება ინტერნეტით გაგრძელებული თვითმკვლელობათა სერია. მიხვდებით

რისთვის დაგვიტრდა ეს შესავალი გაუკუღმართებული ცხოვრებისა, როცა არ არის პასუხისმგებლობა ქვეყნის მომავალზე, დავით სარალიძის მკვლელობას სწორედ ამ მიზეზთა გამო ერთი გვარი არ აქვს, ეს ჩვენს ქვეყანაში და განათლების დარგში არსებული განუკითხაობის შედეგია და ვიდრე არ გადავანალიზებთ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, არ გავტარდება სახელმწიფო რეფორმები, პროცესები უმართავი გახდება.

მეორე და მათავარი გარემოება ისაა, რომ მკვლელებს ხელს აფარებენ და ამას ვერ ხედავს ან არ ხედავს ხელი-სუფლება, ვიდრე გამწარებული ხალხი მას არ მიაღებდა.

პარალელურად ის, რომ დავით სარალიძის საზარელ მკვლელობას 30-ზე მეტი მხილველი ყავს და ვერ გაგვიგია ვინ და რატომ მოკლეს ასე სადისტურად, ლაჩრულად ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდა კაცი, რომელიც არ შეიძლება ბოროტმოქმედი ყოფილიყო, პირიქით - თავად შეეწირა ბოროტებას, რომელიც ასე გაგრძელებულია ახალგაზრდებში.

უსამართლობას საკმაოდ მყარი საფუძველი ჩაეყარა სააკაშვილის ხანაში. გაიხსენეთ ვეანიას, შარაძის, გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის მკვლელობები და სხვა ასობით ჩახოცილი ახალგაზრდები. შვილმოკლული დედები დღესაც სამართალს ეძებენ და ეს კარგად გამოჩნდა სალარიძის სოლიდარობის აქციაზე. გამოდის, ბოროტება არ დრს. თუმცა, მოთმინების ფილაც იესება, მთავარია, რეჟიმის ნარჩენები საბოლოოდ დაეცა-მართო.

ბოლო დროს საზოგადოება აქტიურად გამოდის თავის უფლებების დასაცავად. შეიმჩნევა ღირსების დაბრუნების მცდელობა, ეს ეხება ქალებზე და ბავშვებზე ძალადობას, ნარკოტიკების ჩაღვრის პრაქტიკის აღმოფხვრას შინაგან საქმეთა ორგანოებში, რამაც მიგვიყვანა ნარკოტიკების ლიბერალიზაციის მოთხოვნამდე. საზოგადოებას აქვს დაუცველობის განცდა. მხოლოდ მთავარი პრო-

კურორის თანამდებობიდან გადადგომა არ არის გამოსავალი, რამდენადაც ის არ არის დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში და ასრულებს ზემდგომის მითითებებს. აქ იკვეთება სუბელიან-მერაბიშვილის საქმე ამ უკანასკნელის ციხიდან გაყვანასთან დაკავშირებით, რომლის გაუთქმელობა იყო ერთგვარი კოზირი სუბელიანის დანაშაულის დაფარვისათვის. აი, სანამდე მივყავართ ბოროტების ფესვებს, იმას რომ დროულად არ გასამართლდა სააკაშვილის ბანდა. აი, შედეგი ამერიკული კოპაბიტაციისა, არადა, ოკიანის ვალდებულება რა იცის ჩვენი ვასალი, ეროვნულობა და ღირსება რა ვასუფულობა ჩვენთვის, თუმცა, ალბათ, არც თვითონ მოითმენდა სააკაშვილის ნამოქმედარს რომელმაც ისეთი დღე აყარა საკუთარ ხალხს, როგორც პინოჩეტმა, კადაფი თუ ასადმა.

მთავრობის გადადგომის თაობაზე „ნაცების“ და ხალხის მოთხოვნა ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ხალხს არ უნდა მათ გვერდით დგომა, ეს ერთგვარი მაშველი რგოლი იქნა „ოცებისათვის“. მთავრობის გადადგომას ითხოვენ ნარკომანები, ლიბერალისტები, ნეოფაშისტები თუ ნაციონალისტები, პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მომენტს არ უშვებენ ხელიდან და სხვის უბედურებაზე უნდათ ააგონ საკუთარი ბედნიერება. ამდენად, კარგად მუშაობს მესიჯი - არ აყვეთ „ნაცებს“! ეს შექმნილ ვიტარებას დროებით განმუხტავს, მაგრამ იმის არ დანახვა, რა ჭირს ქვეყანას დამღუპველია, რომ აუცილებელია სამართლიანობის აღდგენა, ეკონომიკის აღორძინება, სიღარიბის დაძლევა, დემოკრატიული კატასტროფიდან თავის დაღწევა. უნდა შეწყდეს მედიის შეტევა ქრისტიანულ რწმენაზე, რამაც აქამდე შეგვიძარა ჩართვილია, არადა, იქვე კოსმოსოლიტიზმი გადგარებული რჯულითა და სახით.

დავუშვათ, ნაციონალები გამოეთიშნენ აქციებს, ეს ვერ შეცვლის პოლიტიკურ სურათს. სიმართლის დადგენას-მკვლელების გამოვლენას ამდენი

აქცია დაჭირდა. შექმნილი ვითარებიდან ერთ-ერთი გამოსავალი ისაა, რომ როგორც ევროპულ ქვეყნებში ხალხმა აირჩიოს სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები, მინისტრები, პროკურორები და ა. შ. მაშინ მთავრობის გადადგომამდე არ მივა საქმე. ღირსეული პოლიციელები, მოსამართლეები, ზოგადად სამართალდამცავები ხალხს კი არ დანაგრავენ, პირიქით - დაიცვენ ადამიანებს და მათ ნდობას დაიმსახურებენ.

ხალხის გაჭირვება არ უნდა იყოს, რეკლუციურ - დემოკრატიული ცვლილებების საბაზი, რამეთუ მთავრობები იცვლებიან და მდგომარეობა უცვლელი რჩება. ჩვენ გვჭირდება ნამდვილი დემოკრატია და თავისუფლება, ნორმალური სახელმწიფო, განათლებული ხალხი, პუბლიური საზოგადოება, დევის რწმენით, სამართლიანობით და არა საზოგადოება ღირსებისა და სიყვარულის გარეშე.

სახელმწიფოს უნდა ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფო კაცები, დიდი პოლიტიკური წარსულითა და გამოცდილებით, ბიზნესმენებმა თუ მეწარმეებმა თავისი საქმე უნდა აკეთონ და პარტიებმა თავი დაანებონ ხალხის გაჭირვებით მანიპულირებას, გვეყო ქუჩიდან მოსული ადამიანები ხელისუფლებაში. საქართველო მხოლოდ პოლიტიკური ორგანიზაცია არაა, საქართველო ქართული ხალხია გენიალური გენითა და დიდი წარსულით.

სამწუხაროდ, ქვეყანა გაორებულია პოლიტიკაში. ეკლესიაში, რწმენაში, იდეაში. ერთმანეთს ებრძვის სახელმწიფო და პირადი ინტერესები, ხეობა და უხეობა. ასე რომ ხელისუფლებას საკმაოდ აქვს გაკვეთილება განსჯისა და მოქმედებისათვის. მთავარია, არ დაუშვან ისეთი შეცდომა, რომლებიც არასოდეს არ გამოსწორდება. ზოგჯერ ეს შეცდომა პილოტის შეცდომას გავს.

ზ. აბრალავა

„სარტყელი გზის ინციდენტი“ ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარების პერსპექტივაში თამაზ გოგოლი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი



თამაზ გოგოლი ფოთელი, პერსპექტიული ახალგაზრდა, არაერთი საერთაშორისო ფორუმების მონაწილეა, აქვს მიწვევა ჩინეთში, აშშ-ში.
როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტის წარმატებებს ვუსურვებთ დიდ ასპარეზზე.
აქვე ვთავაზობთ მისი მოხსენებების შემოკლებულ ვარიანტს ერთ-ერთ კონფერენციაზე.

შეასრულა ორმოცდაათზე მეტი ქვეყნის ურთიერთობებში. დისკუსია უძველესი სავაჭრო გზის აღდგენის შესახებ თანამედროვე პოლიტიკური მოლაპარაკებების უმთავრესი საგანია. დღესდღეობით არსებობს არაერთი განხორციელებული პროექტი, რომელიც ხელს უწყობს თანამედროვე აბრეშუქის გზის ინტენსივაციის პროცესს, მათ შორის ბაქო, თბილისი, ყარსი აზერბაიჯანის; საქართველო-თურქეთის სარკინიგზო მაგისტრალი, ბოსფორის და მარმარილოს სტრუქტურები გამავალი წყალქვეშა გვირაბი, აბრეშუქის გზის ეკონომიკური სარტყელი, საზღვაო აბრეშუქის გზა; როგორც სახმელეთო ასევე საწყობლოსნო აბრეშუქის გზის პროექტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინიცირებით ხორციელდება.

სავაჭრო გზის დასახელება პროექტის სახელმა, ჩინურმა აბრეშუქმა განაპირობა. თავდაპირველად აბრეშუქის გზა პამირის რეგიონის გავლით ირანისა და ავღანეთის ჩრდილოეთით გადიოდა და მას ორი მიმართულება ჰქონდა, ერთი ინდოეთისკენ მიემართებოდა, ხოლო მეორე საქართველოს გავლით ცენტრალურ აზიას და ევროპას აკავშირებდა. ის სათავეს ჩინეთის ქალაქ ხიანში იღებდა და ტაკლამაკანის უდაბნოს, ყირგიზეთის და ტაჯიკეთის უდაბნოების, ავღანეთის და ირან-

ის უსასრულო გზის გავლით სამხრეთ კავკასიას, საქართველოს აღწევდა და იმდროინდელი ანატოლიის გავლით ორ კონტინენტს აერთიანებდა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა სი ძინპინგმა „აბრეშუქის გზის“ ეკონომიკური სარტყელის კონკრეტული შესახებ 2013 წლის 7 სექტემბერს ყაზახეთში, ასტანაში, ნაზაბაევის უნივერსიტეტში საჯაროდ სიტყვით გამოხატვისას ისაუბრა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია „ხალხთაშორის ურთიერთობების ხელშეწყობა უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად“, პრეზიდენტმა ისაუბრა „აბრეშუქის გზის“ ტრანსნაციონალურ მნიშვნელობაზე, ასევე, საზღვარსაღიშნა შემოსვენებული გზის უდიდესი, ისტორიული როლი განსხვავებულ ცივილიზაციათაშორის ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებში.

1. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ქვეყნის მასშტაბის ეკონომიკურ შედეგებზე ზეგავლენის შესწავლა წარმომადგენს. დიდ და პატარა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლა საკმაოდ რთული პროცესია. მათი განსხვავებული ზომის გავლენისწინებით საკითხი დგას შემდგობარად; რამდენად შესაძლებელია ასეთი ტიპის სახელმწიფოებს შორის გეოპოლიტიკური ან გეო-ეკონომიკური ურთიერთობა.

2. საქართველოს სასარგებლოდ გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს. ის ევროპულ და აზიურ ცივილიზაციების თავშეყრის ადგილია. ქვეყნის ლოკა-

ციური მდებარეობა და ამ უკანასკნელი განპირობებული სავაჭრო საქონელი დამომუშავებული სიკეთეები ევროპის და აზიის კონტინენტებს სარგებელს მოუტანს.

თურქეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის ერთობლივი გადაწყვეტილებით განხორციელებული პროექტი 1993 წელს ევროკავშირისა და აშშ კონგრესის მიერ დაფინანსებული TRACEA პროექტის გაგრძელებაა.

ევროკავშირის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტის გლობალური ეკონომიის ერთ-მესამედს შეადგენს. საქართველო და ჩინეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებია. რასაკვირველია, რომ ერთ დღეში არ ამენებოდა. ერთი მხრივ საქართველოს და ჩინეთის უმაღლესი რანგის სამთავრობო დელეგაციის წევრებმა 13.05.2016 წელს თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის ხელშეკრულება მოეწერა ხელი, ხოლო მეორე მხრივ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღრმა და ყოველმხრივად სავაჭრო ხელშეკრულება (DCFTA) და ევროპულ თავისუფალ სავაჭრო ასოციაციასთან მიღწეული შეთანხმებები საქართველოს ევროპის კონტინენტზე ლოჯისტიკურ ცენტრად აქცევს.

ჩინეთ-საქართველოს როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ურთიერთობები ერთი სარტყელი ერთი გზა ინიციატივის პარალელურად ვითარდება. მოგახსენებთ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს, რაც ცალსახად საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტია, თუმცა, ამ პორტის გლობალურ პროცესში ჩასართავად აუცილებელია საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალის ძირეული მოდერნიზაცია და სოვიტიკური (საბჭოთა) გზების

ახალი საერთაშორისო სტანდარტის რკინიგზით ჩანაცვლება, ასევე გადახიდვის საფასურის რეგულირება ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო, თუმცა, არსებითად აუცილებელი ბიუროკრატიული საკითხების მინიმუმად შემცირება, რაც საერთაშორისო ტვირთბრუნვის მაჩვენებელს სარგებლად გაზრდის.

დღესდღეობით ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ფუნქციას ფოთის პორტი და I ტერმინალი ითავსებს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ჩინეთ-საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ერთ-ერთ მოლაპარაკების საგანს ფოთის პორტის სამომავლო განვითარება და შესაძლო სარგებლის განსაზღვრო წარმოადგენდა.

განსხვავებულ ცივილიზაციათა შორის კავშირი თაობათა ურთიერთობის ფონზე მიმდინარეობს, მაშასადამე პარმონიული სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც გამოხატულია სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობაში ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და სოციალურ ასპექტებში, რევიონალური განვითარების ხელშეწყობაში, სუვერენიტეტის ურღვევობასა და ურთიერთპატივისცემაში, აბალანსებს და არეგულირებს საერთაშორისო ასპარეზზე არსებულ გამოწვევებს.

ახალი „აბრეშუქის გზის“ გასწვრივ მცხოვრებ ადამიანთა საშუალო რაოდენობა სამი მილიარდია და ეს რიცხვი სისტემატიურად იზრდება, რაც პირდაპირ პროპორციულად იზრდება სახელმწიფოთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მაშასადამე თუ მოვახდენთ ლირიული პერფორმანსის, „აბრეშუქის გზა“ თითოეული ქვეყნის ინტერესის სფეროს კვეთს, რომლის განხორციელება ინიციატივის წევრი ქვეყნების ფინანსური განვითარების და უზრუნველყოფის გარანტია.

თამაზ გოგოლი
საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი

26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და პირველი რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლისთავი-ფოტო



26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისა და პირველი რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლისთავის აღნიშვნა ფოტოში სპორტული ღონისძიებებით დაიწყო.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის - პირველი რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავი განსაკუთრებით დიდი მასშტაბით გამოირჩეოდა ფოტოში, ასეთი ხალხმრავლობა არ ახსოვს უკანასკნელ 10 წლებს. ქალაქის ცენტრალური მოედანი და კულტურისა და დასვენების პარკი ღონისძიების მონაწილეებს და მკვირვებებს ვერ იტყვია. რაც ერთხელ კიდევ მიაინიშნებს იმაზე, რომ ქართველი კაცისთვის დამოუკიდებლობა და თავისუფლება უმთავრესი ღირებულებაა, რომელსაც თაობები შეეწირა, ამ დიდ მონაპოვარს გაფრთხილება და მოვლავატრონობა სჭირდება.

26 მაისისა და საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ფოტოში კოლხური კულტურის მუზეუმმა თემატურ გამოფენას



უმასპინძლა, სახელწოდებით „ისტორიის კვალდაკვალ...“

ფოტოში საბიბლიოთეკო გაერთიანებამ საუკუნისწინანდელი ბიბლიოგრაფიული გამოცემების გამოფენა წარმოადგინა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ფოტოში საზოგადოებას ფილმების ჩვენება, ცოცხალი ფოტოზონა, დაცული ტერიტორიების ვირტუალური დათვალიერება, მცენარეების გამოფენა და კოსტუმირებული მსვლე-



ლობები წარმოადგინა.

ფოტოში პროფესიულმა კოლეჯმა „ფახისი“, სახელწოდებით ცენტრის სამხატვრო სასწავლებელმა, კოალიცია სოციალური რეფორმებისთვის ბავშვთა დღის ცენტრმა, ცენტრალური პარკის მიმდებარე გამოფენებში მონაწილეობა მიიღო. ტრადიციისამებრ, ფოტოში ფარგლებში, ამ დღეს სხვადასხვა ტიპის სამხედრო ტექნიკის დათვალიერების საშუალებაც მიეცათ. ფოტოში საჭადრაკო კლუბმა „ნანამ“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი ჩაატარა და გამარჯვებული მოჭადრაკეები გამოავლინა.

დღის განმავლობაში სხვადასხვა აქტივობების პარალელურად, მიმდინარეობდა კონ-

ცერტი ადგილობრივი ანსამბლებისა და შემსრულებლების მონაწილეობით.

„უღამაზე სიღრმე და უმნიშვნელოვანესი თარიღი აღინიშნება საქართველოში. მთელს ქვეყანაში საოცრად ამაღელვებელი განწყობაა.“

სიმბოლოა, რომ დღეს ვაჯილდოვებთ 2017-2018 სასწავლო წლის წარმატებულ კურსდამთავრებულებს.

სიმბოლოა, რადგან სხვალინდელი დღე სწორედ მათ ეკუთვნის. „ასე მიმართა ქალაქ ფოტოში მერმა გონა კურდღელიამ დაჯილდოების ცერემონიაზე შეკრებილ საზოგადოებას.

ასევე 26 მაისს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ინიციატივით, 2017-2018 სასწავლო წლის 45 წარჩინებული კურსდამთავრებული, მერიის, ტერმინალი-ფოტოში საზღვაო ნავსადგურისა და ნელი გეგეშიძის ფონდის ფულადი პრიზებით დაჯილდოვდა.

„ქვირ-ფასო თანაქალაქელებო! ქალაქის სტუმრებო!

მინდა სრულიად საქართველოს, ყველა ქართველს მივულოცო უდიდესი ეროვნული დღესასწაულის, დამოუკიდებლობის დღე და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილედ.

მრავალჭირნახულმა ქართველმა ერმა კარგად იცის თავისუფლების ფასი. საუკუნეების განმავლობაში ეს იყო ყველაზე დიდი საწადელი და მიზანი ჩვენ ხალხის ოცნება.

1918 წლის 26 მაისს, ჩვენმა წინაპრებმა გადადგეს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, მსოფლიო საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად და საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს.

100 წლის თავზე, მრავალი პრობლემის პირისპირდგარნი, კიდევ ერთხელ ვაცხადებთ ქართველი

ერის მტკიცე სურვილს, ქვეყნის ერთიანობის, სუვერენიტეტისა და თავისუფლების. დიად ვაცხადებთ და მივიწვრავთ ერთიან ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ოჯახში ინტეგრაციისაკენ, რისთვისაც, ბოლო წლებში, არაერთი მნიშვნელოვანი



ნაბიჯი იქნა გადადგმული. ჩვენ ფოტოში გვამაყვება, რომ 1918 წლის 28 მაისს, გერმანიამ სწორედ ამ ქალაქში გააფორმა შეთანხმება, რითაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა.

ფოტო დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავისუფალი საქართველოს აღმშენებლობისა და განვითარების საქმეში. ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასთან ერთად, ეს როლი კიდევ უფრო გაიზრდება. ფოტოში არის და იქნება ძლიერი საქართველოს საზღვაო კარიბჭე.

მინდა ჩვენი ისტორიული ქალაქიდან, კიდევ ერთხელ მივულოცო საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაული“-თქვა ქალაქის მერმა

26 მაისის გამოკასილი

ნელი გეგეშიძის ფონდი საუკეთესო კურსდამთავრებულებს აჯილდოებს



2018 წლის 26 მაისს ფოტოში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების მსვლელობისას, შედგა ნელი გეგეშიძის სა-მიერ ქალაქის 2017-2018 სასწავლო წლის საუკეთესო კურსდამთავრებულთა დაჯილდოება დიპლომებითა და ფულადი პრემიებით.

ნელი გეგეშიძის სახელობის ფონდი დაარსდა 1996 წლის დეკემბერში ქალაქ ფოტოში. მისი დამაარსებელია ქალბატონ ნელის უფროსი ვაჟი, ცნობილი ქართველი ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოში კომპანია „ფრესკოს“ დამფუძნებელი, აკადემიკოსი ვახტანგ სოფროშაძე, რითაც მან უკვდავოდ დედის - ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ნელი გეგეშიძის სახელი.

დაარსების დღიდან ფონდის თავმჯდომარეა ბატონი ალექო დოლ-

ბაია. ფონდის მიზანია ქალაქის საჯარო სკოლების წლის საუკეთესო კურსდამთავრებულების და პედაგოგების დაჯილდოება, რაც, უდავოდ, ხელს უწყობს სასწავლო პროცესს უკეთესი შედეგების მისაღწევად.



ბალი მანქანების მქონე კურსდამთავრებულებზე და პედაგოგებზე - დიპლომები და ფულადი პრემიები 100-100 ლარის ოდენობით.

ფონდი უკვე 22 წელია რაც ფუნქციონირებს და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს უნიკალური მოვლენაა. სხვაგან არსად, საქართველოს არცერთ ქალაქში და რეგიონში ანალოგიური ფონდი არ არსებობს...

ფონდის მოღვაწეობას ბოლო 6 წლის განმავლობაში მხარი აუბეს ფოტოში საზღვაო ნავსადგურმა (ეი-პი-ემ ტერმინალი, მარიამ ნადარია) და ქალაქის საკრებულომ და მერიამ.

გაგაცნობთ წლებგანდელ ნომინანტებს:

მარიამ ტაგანაშვილი - სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ფოტოში 5 საჯარო სკოლა, პირველი ხარისხის დიპლომი და პირველი პრემია - 500 ლარი.

შოთა აბულაძე - სსიპ -ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქალაქ ფოტოში 2 საჯარო სკოლა, მეორე ხარისხის დიპლომი და მეორე პრემია - 400 ლარი.

აკაკი ბერიაშვილი - სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ფოტოში 1 საჯარო სკოლა, მესამე ხარისხის დიპლომი და მესამე პრემია - 300 ლარი.

ვახტანგ იოსავა - სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ფოტოში 5 საჯარო სკოლა, მესამე ხარისხის დიპლომი და მესამე პრემია - 300 ლარი.

დიპლომებითა და პრემიებით 100-100 ლარის ოდენობით დაჯილდოვდნენ:

მარიამ დოლიძე - სსიპ თეოფანე



დავითაიას სახელობის ქალაქ ფოტოში 1 საჯარო სკოლა

ლიდია ჯინჭარაძე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოტოში 3 საჯარო სკოლა

ვერიკო მეტაქსა - სსიპ ქალაქ ფოტოში 4 საჯარო სკოლა

ანა სხულუხია - სსიპ ქალაქ ფოტოში 6 საჯარო სკოლა

ანი ქანთარია - სსიპ ქალაქ ფოტოში 7 საჯარო სკოლა

გურამ მეგრელიშვილი - სსიპ ქალაქ ფოტოში 11 საჯარო სკოლა

ლუკა წურჭუბია - სსიპ ქალაქ ფოტოში 15 საჯარო სკოლა

ანა ჩანიბაია - წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა

მურად ჩოხანოვი - შპს „გიმნაზია“

ნანა უბილავა - შპს თამარ ფანულის სააგენტო სკოლა-გიმნაზია.

გამარჯვებულებს დიპლომები და ფულადი პრემიები გადასცა ალექო დოლიძემ.

ქალაქის მერი, ბატონი გორა კურღელია უჩინალობას უხედა

პრობლემები და პერსპექტივა



ქალაქ ფოთის მერი ტრადიციულად კურნალისტებს უხედა და ესაუბრა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში გაწეულ საქმიანობაზე და სამომავლო პროგრამებზე, რომელიც გამოვალისწინებული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტით. მიმდინარე წლის საბიუჯეტო შესაძლებლობები 15 მილიონ 760 ათასით შემოიფარგლება, ამასთან პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ინვესტიციების მოზიდვისა და საერთაშორისო ფონდების დახმარებით ახალი პროგრამების განხორციელებისათვის. ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება კუნძულის უბნის კეთილმოწყობა-განახლებაა, გამოცხადდება კონკურსი, ეს არის ინფრასტრუქტურისა და კულტურულ-განსართობი ობიექტების ერთიანი კომპლექსი, სადაც კერძო სექტორს ასევე საშუალება ექნება მიიღოს მონაწილეობა. პროექტი, რომლის საფარული ღირებულება 3 000 000 ლარია, იგეგმება ფილები და ჯებირის რეაბილიტაცია, საფეხმავლო და საავტომობილო გზის, სავარჯიშო ზონების, საჩრდილობლების, სასმელი წყლის შედრეგების, სპორტული მოედნის, შედრეგანთა სახლის, ავტოსადგომის და სხვა ობიექტების მოწყობა.

აღნიშნული პროექტი ახალ ბიზნეს წამოწყებებსაც შეუწყობს ხელს. უბნის მოსახლეობა ადგილობრივი ხელისუფლების გვემას პოზიტიურად აფასებს.

კუნძულის უბნის რეაბილიტაციის პროექტი ფოთის მაჟორიტარი პარლამენტარის, ირაკლი ხახუბიასა და ფოთის მერის გორა კურღელიას ინიციატივითა და უშუალოდ ჩართულობით ხორციელდება. იგი რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდება.

მერმა კურნალისტებს მიაწოდა ინ-

ფორმაცია ფეხბურთის სტადიონის მშენებლობის მიმდინარეობაზე, რომელიც დაყოფილია ეტაპებად და საბოლოოდ უნდა მივიღოთ მაღალი სტანდარტის სპორტული კომპლექსი. ოქტომბერში, გაიხსნება ნიკოლაის სახელობის რესტავრირებული კოშკი, რომელიც იქნება ნიკოლაის მუზეუმი და განახლდება აქამდე უცნობი მისი პირადი ნივთებით და ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სტენდებით, რომელიც მიეძღვნება ამ ბუმბერაზი ადამიანის დაბადების 175-ე წლისთავს.

მიმდინარეობს მე-7 კილომეტრის წყალგამყოფი ხიდის რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა რიონზე, განახლდება წყალსადენ-კანალიზაციის მშენებლობა. მალთაყვის სა-

დანაწილება. რაც შეეხება დასაქმების პრობლემას, თანდათან ფეხს იკიდებს სატრიკოტაჟო წარმოება და ინვესტორები ხელფასების გაზრდას პირდებიან ჩვენს მოქალაქეებს. კურნალისტებმა დასვეს შეკითხვა ცენტრალური პარკის განსართობი კომპლექსის განახლება-თან დაკავშირებით, პარკში არ არის წყლით, ნაყინით და სხვადასხვა პროდუქტებით მოვაჭრე ობიექტები. მალთაყვაში იყო ბავშვთა რკინიგზა, რომელიც იმ ავბედით ქაშა შეეწირა, კარგი იქნება თუ ფოთელი ბიზნესმენები ამ საჩუქარს გაუკეთებენ პატარებს.

მერმა უპასუხა კურნალისტების შეკითხვებს ტაძრის შემოღობვის (ქალაქა დაკარგა მოედანი), სავაჭრო ცენტრის შეჩერებული მშენებლობის, უნიკალური ნაგებობების უშიშროების სამსახურის ყოფილი შენობის და ჰიდრომელიორაციული ტექნიკის ნაგებობის მდგომარეობის შესახებ. ასევე კურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს მერის მოადგილეებმა ირაკლი თოფურია, მამუკა პაპასკირმა და გიორგი ფარეშიშვილმა.

ითქვამს რომ დაწესდება საპატიო მოქალაქისა და ნიკოლაის მედლის, ახალი ფორმით ჩატარდება საერთო სახალხო დღესასწაული „ფახისობა“. გამოყოფილია თანხები რეგიონული ფონდიდან ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისა და ცენტრალური პარკის მოწყობისათვის, რაც მიმართულია ქალაქის ტურისტული პოტენციალის გაზრდისათვის.

შეხვედრაზე საუბარი იყო სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის საზღვარსაშუალო ახალი ნავსადგურის მშენებლობა.

წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია უახლოეს დღეებში დაიწყება. სამუშაოები ერთდროულად ოთხი ლოკაციაზე შესრულდება.

მერმა თქვა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეთან ირაკლი კაკულაიასთან ერთად, კომპანია „თაჰალ როუპ V“ ოფისს ეწვია. იგი კონტრაქტორი და შედამხედველი ფირმების წარმომადგენლებს უხედა.

„თაჰალ როუპ V“-ის წარმომადგენლების თქმით, 1 ივნისიდან დაიწყება სავაჭრო სამუშაოები, პრიორიტეტად შერჩეულია წინა კონტრაქტორის მიერ უკვე გადათხრილი ქუჩები. სამუშაოები მალთაყვისა და ნაბაღის უბნებში ერთდროულად რამოდენიმე ლოკაციაზე დაიწყება. პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, წყალარინების ქსელის



ციის მშენებლობა. მალთაყვის სა-

ნაპირო ზოლით დაინტერესებულია მთავრობის მეთაური, რომლის სამუშაოები ოქტომბრისათვის დამთავრდება, ასევე ხორციელდება მცირე პროექტები, ღიებების მემორიალის კეთილმოწყობა, უპოვართა სახლის შეკეთება, ფარნაჯის ქუჩის განახლება, სპორტკომპლექსის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია, გათვალისწინებულია ქალაქში სანერგე მეურნეობის აშენება, რაც ხელს შეუწყობს ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღებას. მიმდინარეობს ელექტროქვესადგურებისა და სხვა კომუნიკაციების განახლება, თეატრის რემონტი, საზაფხულოდ პლაჟების კეთილმოწყობა, მაშველი სადგურების შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა, დაწესებულია ზღვის ზოლის განათების სამუშაოები, კერძო პირებს საშუალება ექნებათ აუქციონის პირობებით მოაწილონ სავაჭრო ობიექტები. ასევე დაიწყება საბავშვო ბაღების რემონტი, ძველის ბაზაზე ახლის მშენებლობა და შესაბამისად დროებით კადრების გა-

რეაბილიტაცია აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, პირველივე ეტაპზე განხორციელდება.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილია ტერიტორიები ნარჩენების გადასატანად.

წყალარინების ქსელის რეაბილიტაციის პროექტის ღირებულება 89 943 800 ლარია. იგი აზიის განვითარების ბანკიდან დაფინანსდება.

ფოთის მაჟორიტარ, პარლამენტარ ირაკლი ხახუბიას ინიციატივითა და უშუალო ჩართულობით, ქალაქში, დამატებით, გამწმენდი ნაგებობი აიგება. მშენებლობას ერთობლივი საწარმო „უდწივ ფეიფფერ ლტპ“ – უნდ თიფებაუ მპ & ჩო. „და „ Iთ როუპ – რცოლენ არეღლი Iმპიანტი თეცნოლოგიცი შ.რ.“ – განახორციელდეს. მისი ღირებულება 44 684 016 ლარია. აღნიშნული პროექტი აზიის განვითარების ბან-



კის მიერ იქნება დაფინანსებული.

„ზღვის სანაპიროს რეცხვის პროცესი ქალაქის ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემაა, რომლის შეჩერება კონსტრუქციული ზომების მიღებით და შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით უნდა მოხდეს“ – განაცხადა ქალაქის მერმა გორა კურღელიამ, ტერიტორიაზე, სადაც პალეოსტომი ზღვას უერთდება, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად იმყოფებოდა. მან ის ადგილები დაათვალიერა, სადაც ნაპირის რეცხვის და მოსიღვის პროცესი თვითნებურად მიმდინარეობს.

ქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის მერ, შესაბამისი უწყებებისა და სპეციალისტების ჩართვით, შემუშავდება გეგმა აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ფოთის საფეხბურთო სტადიონზე გადახურვის სამუშაოები დაიწყო. მზადდება სივრცე მძიმე კონსტრუქციების დასამონტაჟებლად.

მშენებლობის პირველი ეტაპის სამუშაოები ზაფხულის ბოლოს დასრულდება.

მერმა თქვა, რომ კურნალისტებთან შეხვედრებს სისტემატიური ხასიათი ექნება.

მილოცვა კატარა ქალაქის დიდი პაცემა პასტანგ ბობიშვილი-65 „ვლოცავ დღეს ჩემი განენის, ბედნიერი ვარ მე!“

ბატონო ვახტანგ, რომ არა თქვენნაირი თბილი, სიყვარულით, კაცობით, პუმანიზმით აღსავსე, როგორც იტყვიან, დღისნიერი ადამიანები, ბევრი რამ დააკლდებოდა ჩვენს ყოფას, ურთიერთობას ამბობასა და მეგობრობას. ამიტომ გვიხარია თქვენი ამჟვენად მოვლინება, სიცოცხლე და მოღვაწეობა. რასაც მოყვასის პატივისცემა და სიკეთის ქნა უდევს საფუძვლად. ეს იმ დროს, როცა ადამიანები ვერ ახერხებენ ერთმანეთთან ურთიერთობას ცხოვრების უკუღმართობის გამო. შენი დიდი კაცობით ყველას ახსენებ, რომ უნდა გიყვარდეს ადამიანები უბრალო ხალხი, რომელსაც შეუძლია დეაწლის დაფასება და მოფერება. გვიხარია, რომ სამსახური, რომელსაც შენ უდგახარ სათავეში, ქართული საწესწვეულებო რიტუალების მაღალ სტანდარტებს იცავს, ქალაქში იგრძნობა ახლებური ხედვა, მომსახურების კულტურა და ხაზგასმელობა იხიც, რომ მუდამ შეჭირვებულთა გვერდით ხარ... შენი ეიმედება ბევრის ჭირისუფალიც ყოფილხარ ამ მართლაც შეჭირვებულ დროში. სწორედ, ასეთი ადამიანები აკლია დღევანდელს, ქვეყანას.

წინ კიდევ დიდი საქმეები და ღამაზი დღეები გეღის შენს დიდებულ ოჯახთან, კარგ მეუღლესთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

- ყოველ წელს სიხარული და ბედნიერება მოეტანოს შენთვის, ჯანმრთელობას, მხნეობას წარმატებებს გისურვებთ.

დაეყოველთვის გეთქვას დიდი პოეტის სიტყვები: „ვლოცავ დღეს ჩემი განენის, ბედნიერი ვარ მე!“.

ბია ღარჯანია, ალფონს მუტაქსა, შანო ნარმაღია, ზურაბ აბრალავა.

მილოცვა ინგა და პაატა გეგენავას შვილიშვილის ღაბაღბასთან ღაპაპშირებით ვუსმელ ღაპითი ღაბაღბაულა... ას თქვენ უხედავს გაუგაჯოღს!

ბედნიერებაა ოჯახში ახალი წევრის მოვლინება და ორმაგი ბედნიერებაა როცა ახალშობილი ვაჟია... წუხელის ბიჭი დაბადებულა, დაურქმევიათ თურმე დავით“.

დაიხ, შორეულ ამერიკაში ეღენე გეგენავასა და ნოდარ ჩოჩიას შვილი შეეძინათო, ქალბატონ ინგასა და ბატონ პაატა გეგენავებს-კი შვილიშვილი, უსაზღვროა მათი სიხარული, აკი ამ ბოტენ „შვილის სიყვარულმა გულში გაიარაო, შვილიშვილის სიყვარულმა გულის გულში“.

სიხარულისგან ქვეყანა ეცოტავება ბატონ პაატა გეგენავას. იგი მუდამ ამყოფს თავისი გვართო. ახლა კი მეცხრე ცაზუა, რამეთუ პატარა დავითის ძარღვეში გეგენავების სისხლი და გენი ხშიანობს.

ამასთან დაკავშირებით ბატონმა პაატა გეგენავამ ვახშამი გამართა და მეგობრებმა სახუმიოდ აღნიშნეს პატარა დავითის მოვლინება ამ ქვეყნად.

გულოცავთ ქალბატონ ინგასა და ბატონ პაატას შვილიშვილის შექმნას და გულსრულებთ მოსწრებოდნენ მის დაეკაცებას, ქორწილსა და ბედნიერებას... პატარა დავითი გაზრდილიყოს დიდი დავით მეფის მემკვიდრე და ესახელებინოს სრულიად საქართველო.

ღმერთი ფარავდეს პატარა საქართველოს დიდ მოქალაქეს!

პაატა გეგენავას მემოგრაგბი



ვოთში საზღვარო საზონისთვის შექმნილი საგაგველო სამსახური
აშუარობას 15 ივნისიდან შეუღება

ქ. ფოთში არსებული ტურიზმის განვითარების ცენტრსა და სავანავებო სიტუაციების მართვის „წყალზე სამაშველო“ სამსახურთან ერთად, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა „ქ. ფოთის სანაპირო სამაშველო სამსახური“. ფოთში საზღვარო სეზონისთვის შექმნილი სამაშველო სამსახური მუშაობას 15 ივნისიდან შეუღება. შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი მაშველები სანაპირო ზოლზე პატრულირებას დღის 08-00 სთ-იდან ხალაშოს 20-00 სთ-მდე განახორციელებენ.

2 წელიწადია ა (ა) იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრთან სეზონურად ფუნქციონირებს „სამაშველო ჯგუფი“.

სამაშველო ჯგუფი უზრუნველყოფს მოქალაქეთა და დამსვენებელთა უსაფრთხოებას სანაპირო ზოლში ჯგუფის საქმიანობა წარმატებული იყო ვინაიდან დაარსებიდან (2 წელი)

14 ივნისი 2018 წელი

„ფაზისის“ აკადემიის წლის ბოლო სემინარი
მაისის დღეები და აკადემია კომპიუტერის ტალღაზე



25 მაისს ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (ნუნუ ჭელიძე) გაიმართა „ფაზისის“ აკადემიის წლის ბოლო სემინარი, რომელიც პოეზიას მიეძღვნა. აკადემიის წევრებმა თავიანთი შემოქმედება გააცნეს დამსწრე საზოგადოებას. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა „ფაზისის“ აკადემიის ფონდის ორგანიზაციის თავმჯდომარე დოდო ხუციანი. მან მიულოცა დიდი დღესასწაული დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დღევანდელი

დღე- პოეზიას - გაზაფხულის უღამაზეს დღეს და თვეს ეძღვნება და სიტყვა გადასცა პოეტებს. თამაზ პაჭკორიამ ისაუბრა ქართული გენის მარადისობაზე, წაიკითხა ნაწევრები თავისი შემოქმედებიდან. დამსწრეთ თავიანთი პოეტური შემოქმედება გააცნეს ეთერ ლატარიაძე, ზოია გაფრინდასვილიძე, ზაირა გუნცაძე, ინგული მოსიავაძე, ლუიზა ჩხეტიანი, ჭაბუკი ქოიავაძე, ოთარ არძიშვილი, ნაპო თოდუაძე და სხვებმა. აკადემიის წევრებმა გადაიღეს სამახსოვრო სურათები და მათი შემოქმედება დაიბეჭდება ჟურნალ „ცოტნეილელის“ მომდევნო ნომერში.

ნაპო თოდუა
ცნობილი მეფუტკრე
და სახალხო მოქმედი



სამ ჩვენია
საწიგნო დანა ვინც წავიდა, საყვარელი ან მსმენია, აქ თუ ვღაჯობთ და ვერ ვიყვართ. ეს ჩემია ეს შენია და აკვირდით შენ თუ მამა საბ, ვინმეს ბამე შერჩენია? ჰედა აქაც მშვიდად ვიყავთ, ეს საწიგნო სამ ჩვენია!?

გვქვაცითს
ეს ბეგონ ვერ გავთვალეთ, აღარ გვქვაცითია!
კლესია და კლეს აფხაზმა, ბრუნის პრემიაციონია,
წინაპრებთან ბეგონ შერცხვით, თავი ბეგონ ვინაბთლთ,
გვქვაცითს ბაც შერცხვით, ერთმანეთის მიმართ!

ღაბიგვამ
ღაბიგვამს ვი მიიღებ, ვინც გაბიგვამს ქვანია,
